KA990196023007619

1306/09 30 / მაისი / 2019 წ.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ზურაბ სეხნიაშვილს

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი
მოწყობის,ინფრასტრუქტურის განვითარების,
არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებლის
(კონკურსამდე) იოსებ ღარიბაშვილის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ზურაბ,

მოგახსენებთ, რომ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N69 (19.03.2019 წ.) გაფორმებული აქვს შპს ,,ისაკი"-ს ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში დაფინანსებული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და დეფექტური აქტების დოკუმენტაციის შედგენაზე. დოკუმენტაცია რომელსაც არ საჭიროებს ჰიდროგეოლოგიურ და გეოლოგიურ კვლევას წარმოდგენის ვადაა მიმდინარე წლის 30 აპრილი, შესაბამისი აკრედიტირებული კომპანიის დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ, ხოლო ის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია რომლებიც საჭიროებს ჰიდროგეოლოგიურ და გეოლოგიურ კვლევებს წარმოდგენის ვადაა შესაბამისი დასკვნების წარმოდგენიდან ერთი თვე.

ჰიდროგეოლოგიურ და გეოლოგიურ კვლევებზე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება გაფორმებულია ი/მ ,,ვაჟა მაღლაფერიძე"-სთან, რომლის შესაბამისი დასკვნების წარმოდგენის მიწოდების ვადაა მიმდინარე წლის 11 ივნისი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა საჭიროებს დიდ დროს და მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ პროექტების დროულად მიღების და შემდგომ სამშენებლო სამუშაოების დროულად დასრულებისათვის, ურთიერთ შეთანხმებით შეწყდეს შპს ,,მშენ ექსპერტ"-თან გაფორმებული N70 (15.03.2019 წ.) ხელშეკრულება.

გთხოვთ დაავალოთ მუნიციპალური შესყიდვების სამსახურს შემდგომი რეაგირებისათვის.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სივრცითი მოწყობის,ინფრასტრუქტურის
განვითარების, არქიტექტურისა და
მშენებლობის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

იოსებ ღარიბაშვილი